შრომა

სურათებიანი დამატება

დამატების № 17. კვირა, 4 ივნისი, 1906 წ. გაზეთის № 49

მარსელიელი.

(საფრანგეთის რევოლიუციის დროის მოთხრობა)

ფელიქს გრასი.

(შემდეგი*)

სამი დღე და ღამე ვიარეთ, წყურვილს წყაროს წყლით ვიკლავდით და ზეზეურად ჩაგვთვლემდა ხოლმე, რადგან ნისლისა და ნამის გამო ბალახზე მიწოლა არ შეიძლებოდა. გავიარეთ ლიონი და ვილფრანში, მხოლოდ არდიერის დაჩრდილულ ნაპირებზე დავისვენეთ რამდენსამე საათს ცხარე მზის გულზე, აქ ყველანი დავიფანტენით; ზოგი ნერგის ქვეშ გაგორდა, ზოგი მდინარის კამ-კამა წყალში ბანაობდა: ზოგი ნიორ-წასმულ პურსა სჭამდა. მარტო მე დავრჩი წმ. იოანეს ხიდზე ზარბაზანთან, რადგან ვოკლერი ამბობდა: შეიძლება ეხლა გაიარონ ლაზულიმ და პატარა კლარემ დილიჟნითაო.

რომ არ დამძინებოდა და დილიჟანი არ გამომპარვოდა, ქვაზე ჩამოვჯექ, გავხსენი ჩემი პარკი და დავუწყე სინჯვა ჩემ დამბაჩებს. უცბად ზარის რეკა მომესმა. დილიჟანი მეგონა, მაგრამ აღმოჩნდა ცხვრის ფარა, რომელსაც მოხუცი მწყემსი მოსდევდა. მოვიდა ჩემთან და მკითხა, რომელი გზით უფრო მოკლედ გაივლიდა მდ. რონის ბორნამდე.

— არ ვიცი,—მივუგე მე,—აქაური არა ვარ.

— მაშ, ვინა ხარ, ან სად მიდიხარ? იმდენად ყმაწვილი ხარ, არა მგონია გვარდიელი იყო.

— მე პატრიოტი ვარ და ფედერალ ისტი. მე მარსელელ ბატალიონს მივდევ, უნდა ჭკუა ვასწავლოთ მთავრობას.

— რას ლაპარაკობ! მთავრობის მეთაური ჩვენი კეთილი მეფეა, ჩვენი მამა, სად არის შენი ბატალიონი?

— აი, ჩვენი ზარბაზნები. იქ წყლის პირას ჩვენი ჯარისკაცები ისვენებენ და მე კი აქ ვდარაჯობ.

— ღმერთო დიდებულო!--სთქვა მოხუცმა და აღაპყრო ხელები ზეცისკენ:—ნუ თუ დაგაჯერეს, რომ გონს უნდა მოვიდეს მთავრობა? საყვარელო ბავშვო, შენ ძალიან ცუდ გზას დასდგომიხარ, ჯოჯოხეთის უფსკრული მოგელის. მე პატრიოტი ვარ და გირჩევ ჩემსავით ცხვარი დამწყსო, ვიდრე მაგ გზას მიჰყვე. აი თუ გინდა წამოდი ჩემთან თანაშემწედ, მე კარგ დღიურ ფასს მოგცემ ალპის მთამდე, იქ კი გაგიყოფ ჩემს ცხვრის ფასს, ამითი კარგ სათავნოს შეაგროვებ.

— მერე თავი დავანებო ბატალიონს? არას დროს.. თქვენ შეგიძლიათ მთელი ქვეყნის ცხვარს შემპირდეთ და ჯიბებიც ოქროთ ამივსოთ, მაგრამ თქვენს გზას მაინც არ დავადგები, გაუმარჯოს ეროვნებას!.. თავისუფლება ან სიკვდილი!

— საწყალო ბავშვო, საწყალო! ნეტავ აგრე ვინ გადაგრია? უბედურო, განა შენს ხანში სიკვდილზე ლაპარაკობენ? ნუ თუ შენს სოფელში მღვდელი არ არის, რომ აგრე შეუპოვრათ არღვევ ქრისტეს კანონს?

— არა, ბატონო, ჩვენს სოფელში დიდად კეთილი მღვდელი გვყავს, ბატონი რანდული, რომელმაც ჩემი სიცოცხლე დაიფარა, მიხსნა მარკიზისა და მის ტყის მცველისაგან, რომელთაც ჩემი მოკვლა სურდათ.

— მაშინ იმ წმინდა კაცის პატივის საცემად, შენი სიცოცხლე რომ დაიცვა, აი გამომართვი ეს ღვთისმშობლის ხატი და შემომფიცე, რომ არას დროს არ მოიშორებ. ყოველად წმ. ღვთისმშობელი ყოველ უბედურებას აგაცდენს.

ამ ლაპარაკში მოხუცმა მწყემსმა თავის ყავარჯენს თავი ახადა და ხელის გულზედ გადმოიყარა მრავალი პატარა ხატი და ოქროს ფული. ამოარჩია ერთი ხატი, ემთხვია და მომცა ისა და ოქრო.

— ეს ხატი დაიფარავს შენს სულს გარყვნილებისგან, ხოლო ეს ოქრო შენს სხეულს სიმშილისა და გაჭირვებისაგან. თუ როდესმე ჩაუვარდე ხელში იმათ, რომელთაც შენ ბოროტად სთვლი, ეს ხატი აჩვენე, სიკვდილს აგაცდენს. მხოლოდ ფთხილად იყავ, არავისთან წამოგცდეს, რომ მე შემხვდი, მშვიდობით, მივეშურები. ღმერთი იყოს შენი მფარველი!

ის მომეალერსა რანდულესავით, პირჯვარი გადამწერა და საჩქაროდ წავიდა ბუტბუტით: „საცოდავი ბავშვი, საცოდავი ბავშვი!“

ისე გაოცებული დავრჩი, რომ, მადლობაც ვერ მოვახერხე, გაჩუმებული შევყურებდი, სანამ თვალიდან, არ მომეფარა. ხოლო მაშინ ჩავალაგე ჩემი პარკი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ მომესმა ცხენის ფეხის ხმა. დავინახე ოთხი ჟანდარმი, ხმალ ამოღებულნი და წელში დამბაჩებ გარჭობილნი მოცვივდნენ.

— მოქალაქევ პატრიოტო, არ დაგინახავს მოხუცი მწყემსი?

სისხლი ამივარდა თავში, შევშინდი იმ კეთილ მოხუცს არა შემთხვეოდა-რა და ვუთხარი:

— არა.

— სამწუხაროა. რომ გცოდნოდა, საით წავიდა, გვეტყოდი და მით სამშობლოს და რევოლუციას იხსნიდი ბოროტ მტრისაგან.

შევნიშნე, რომ გადაჭრით უარი ვთქვი და ვუთხარი:

— არ მინახავს, მაგრამ, თუ არა ვცდები, წყლის პირიდან მომესმა ზარების ჟღარუნი.

— სწორედ ის იქნება! წამოიძახა ყველამ ერთად და გააქენეს ცხენები იქით, საითაც მწყემსი წავიდა.

ძალიან შემკრთალი ვიყავ ამ შემთხვევით და არ ვიცოდი, მეთქვა ვოკლერისათვის თუ არა, ვგრძნობდი კი, რომ ვუღალატე იმ კეთილ კაცს.

ჩვენი ჯარის-კაცები ნელ-ნელა შეიკრიბნენ და, ის იყო, უნდა წავსულიყავით კიდეც, რომ მოგვესმა ისევ იმ ზარების ჟღარუნი, ცხენების ფეხის ხმა და ლაპარაკი.

მართლაც, გამოჩნდნენ ოთხი ჟანდარმი, მათ შორის ხელებ შეკრული მოხუცი.

ხიდზე რომ ამოვიდნენ, ჟანდარმები ხელებს იქნევდნენ და ყვიროდნენ: „გაუმარჯოს ეროვნებას“.

ჩემი ამხანაგები მიეხვივნენ იმათ.

— რა დააშავა?—ჰკითხა გარნეიმ.

— მეტად ბრიყვათ ექცევით,— უთხრა საბატმა. თუ პატრიოტების წინააღმდეგია, მე მაგას ჩემ დროშაზედ ვამთხვევიებ და გაშალა თავისი დროშა.

— ეს მოღალატეა! სიკვდილის ღირსია! გაუმარჯოს ეროვნებას! დაიძახეს ჟანდარმებმა.

ყველამ სხვა და სხვა აზრი წარმოსთქვა.

*) იხილე დამატება № 16.

— ეხლავ უნდა გავასამართლოთ და დავხრიტოთ, —ამბობდა ერთი.

— ღირსი არ არის მაგ მოღალატეზე თოფის წამალი დაიხარჯოს, თოკიც საკმარისია მაგისთვის! —ამბობდა მეორე.

— წყალში ჩააგდეთ, წყალში! —ღრიალებდა მესამე.

ამ ღრიანცელში საწყალი მოხუცი დატორტმანდა და წაიქცა. საცოდავი სანახავი იყო. ავიყვანეთ უბედური და ქვაზე ჩამოვსვით. მე ღვინო დავალევინე.

ღვინის დალევაზე მოსულიერდა, თვალები გაახილა, ხელი მომკიდა და ჩურჩულით მითხრა:

— მადლობელი ვარ, ჩემო შვილო, ღმერთი გადაგიხდის.

მარსელელებს ძალიან ებრალებოდათ მოხუცი და სცდილობდნენ გაენთავისუფლებინათ. ეს რომ შევნიშნე, მეც გავბედე და ვუთხარი:

— ამ მოხუცს ორი დღე წინ აღარ უძევს, აბა რა სიავკაცე შეუძლიან, რა გვენაღვლება პატრიოტია თუ არა. და, ანებეთ თავი, დეე მწყემსოს თავისი ცხვარი. იქნება ამის მეტიც არა აბადია-რა, ამას რომ დაემართოს რამ, შეიძლება ცოლ-შვილი უმოწყალოდ დარჩეს.

— მართალს ამბობს! —სთქვეს ყველამ.

—მართალსა? —სთქვა ჟანდარმმა, —აი, ახლავე ნახავთ მართალია თუ არა.

ჟანდარმი გადმოხტა ცხენიდან, მივარდა მოხუცს და გადახადა ზემოთი მოსასხამი

რა წარმოგვიდგა თვალ წინ? მოხუცს ეცვა მშვენიერი იისფერი ანაფორა, ძვირფასი არშიებით და ოქროს დიდი ჯვარი ეკიდა გულზედ.

— უბედური მოხუცი, რომელიც თქვენ ეგრე გებრალებოდათ, არის მენტის ეპისკოპოსი ბატონი კასტელანი. ეს მოთავეა ოცი ათასი როიალისტისა, რომელნიც დაბანაკებულნი არიან ჟალესში. იცით, სად მიდიოდა ეს მოღალატე? ემიგრანტებთან, რომ იმათთან და უცხოელებთან ერთად შეთქმულება მოემზადებინა რევოლუციის წინააღმდეგ, აი, ეხლავე დაგიმტკიცებთ ჩემი სიტყვების სიმართლეს.

წაართვა მოხუცს ხელიდან ყავარჯენი, ახადა და ოქროებსა და ხატებს ქვეშიდან ამოიღო დაკეცილი ქაღალდი, რომელზედაც დაწერილი იყო მთელი გეგმა შეთქმულობისა.

— მოღალატე! ურცხვი! წყალში ჩააგდეთ, წყალში!..— დაიძახა ყველამ.

ყველა მხრიდან მუშტები დაუშინეს და ჟანდარმებმა ძლივს წაართვეს გამძვინვარებულ ხალხს მოხუცი, მიაბეს ცხენის კუდს და ისე წაიყვანეს, ჩვენც გავუდექით გზას.

ყველანი იცინოდნენ. მხიარულობდნენ და ულოცავდნენ ერთმანეთს, რომ ასე ადვილად დაიჭირეს ეპისკოპოსი, მარტო მე ვიყავი მოღუშული. მოხუცის მოცემული ხატი და ოქრო ცეცხლს მიკიდებდა, ის მოღალატე მე მაინც მებრალებოდა. უმწყემსოდ დარჩენილმა ცხვრების ბღავილმა უფრო გული შემიხუთა.

მე ისევ ზარბაზანს მივათრევდი, ხალხი ძალიან დაიღალა, ზოგმა ფეხთ გაიხადა და მტვრიან გზაზე ფეხშიშველა მიდიოდა. ამ დროს ჩვენ არისტოკრატების სამფლობელოში გადავედით. ვინც კი გვხედავდა, პირს გვარიდებდა, არ გველაპარაკებოდა და არც ღვინოს გვთავაზობდა, როცა გავშორდებოდით, მუშტებს გვიჩვენებდნენ.

ამიტომ მთელი საათობით გაჩუმებულნი მივდიოდით თავჩაღუნულნი და არც მარსელიეზას ვმღეროდით. მუასსონი და გარნიე რომ გვატყობდნენ მოწყენას, სცდილობდნენ გავერთეთ.

— ცხრა დღის შემდეგ პარიზში ვიქნებით, —გვეუბნებოდნენ ისინი, —მაშინ პური ბევრი გვექნება, ყველა თავისუფალი იქნება, მოსავალი მთესავის კუთვნილება შეიქნება, ხეხილის ნაყოფი იმას ერგება, ვინც ამყნო ხეხილი, ხოლო საქონელი—ვინც მას მწყსის.

ჩემთვის ესეები საჭირო არ იყო, ისე აღტაცებული ვიყავი და ისეთის ხალისით მივდიოდი, რომ მზად ვიყავ ერთის მაგიერ ორი ზარბაზანი წამეთრია. მხოლოდ არ მომწონდა, რომ ზოგნი ამბობდნენ:

— ნეტა რითი გათავდება ყველა ეს? რა ვიცოდით, რომ პარიზი ასე შორს იყო... როგორც ეტყობა, პარიზს გარედ დაგვაბანაკებენ. მაშ ტყუილია ჩვენი ხეტიალი.

ამისთანა ლაპარაკი ძალიან მწყინდა და გასამხნევებლად მოვყვებოდი მაღალის ხმით მარსელიეზას სიმღერას. მაშინ სხვებიც ამყვებოდნენ და ისევ სიცოცხლის ელფერი დაეტყობოდა ჩვენ ჯარს.

სახელმწიფო სათათბიროს წევრნი



წერეთელი.

აივაზოვი.

დღეები გადიოდა და ჩვენც გავიარეთ მარონი, ტურნე, შალონი და ოტენი. უკანასკნელ ქალაქიდან გავედით საღამოს ხუთ საათზედ, ვოკლერი გვერდით მოგვდევდა. ამ უკანასკნელ დღეებში ძალიან მოწყენილი იყო.

— მიკვირს, რომ ავინიონის დილიჟანმა ასე დაიგვიანა, უბედურება ხომ არა შეემთხვა-რა? მოუთმენლად ველი, როდის დავინახავ ლაზულის და პატარა კლარის. შენ არა სთქვი პირველი დილიჟნით გამოვლენო?

— დიაღ, თქვენმა ცოლმა მითხრა, რომ ჩვენ გაგასწრებთო.

— აი, თუ უბედურება არა შეემთხვათ-რა, უეჭველია, ხვალ უნდა დაგვეწივნენ სოლიეში, სადაც ჩვენ ღამეს გავათევთ, რადგან იქაური მცხოვრებნი კარგი პატრიოტები არიან.

ლაპარაკი უცბად შევწყვიტეთ, რადგან ამ დროს მოგვესმა ქალების და ბავშვების ყვირილი.

— გვიშველეთ! გვიშველეთ.

ხუთი თუ ექვსი ჩვენი ჯარის-კაცი გაიქცა ამბის შესატყობად. პატარა ხანს უკან იმათ მოიყვანეს ოთხი შეპყრობილი: ერთი სქელი და წითური ბერი, ორი კი ჩამომხმარი და გაყვითლებული პოლიციელი. იმათ მოსდევდნენ ხანში შესული გლეხი ცოლით და მთელი ხროვა ბავშვებისა.

— რაშია საქმე? —ჰკითხა მუასსონმა.

— ამ ბერს, მიუგო მორგანმა, მოუყვანია სამი პოლიციის მოხელე ამ საწყალ გლეხის დასაჭერად და დასასჯელად. ამბობს, გადასახადს არ აძლევენო.

— როგორა ჰბედავს მაგას, —სთქვა სამატმა: —ხომ გამოცხადებულია, რომ გაუქმდა გამორთმევა ყველანაირ გადასახადისა, მაშ ჩვენ საფრანგეთში არ ვყოფილვართ? —დაუმატა იმან და მიუბრუნდა ბერს: —აი შე საზიზღარო, შე გასუქებულო ღორო! ის არ იკმარეს და ეს და ამის მეგობრები უკანასკნელ ძროხასაც ართმევენ ვითომდა თავიანთ ზარალის შესავსებად!..

ჩვენ ავხმაურდით და ცემა დავუპირეთ მოხელეებს, მაგრამ მორგანმა მკაცრის ხმით სთქვა:

— გასაოცარია ეხლა საფრანგეთში ამისთანა შემთხვევა და უექველად სამაგალითოთ უნდა დაისაჯნენ. გაატიტვლეთ და შეაბით საბარგულეებში, დეე, მაგათ წამოიღონ პარიზამდე შენ კი, მორგან, გაუძეხ მაგათ და, თუ უკან ჩამოგვრჩნენ, სახრით გარეკე.

ყველა ეს საჩქაროდ შეასრულეს და წავედით, გლეხკაცი კი გაოცებული გვიყურებდა—ეს რა მოახდინესო.

ბინდისას მივედით, პატარა ქალაქ სოლიეში, 26 დღე შესრულდა, რაც გზაში ვიყავით, ყველას, ჩემს გარდა, წვერულვაში მტვრით ჰქონდა სავსე ეს ძალიან მწყინდა. ამ ქალაქში პატრიოტები სცხოვრობდნენ, უექველია, კარგად გაგვიმასპინძლდებოდნენ, მე კი, როგორც სხვაგან, ბავშვად დამსახავდნენ. უცბაც ფიქრათ მამივიდა ხელოვნურ წვერის გაკეთება. ავდექი მოვაგროვე ერთი მუჭა მაყვალი, მოვჭყლიტე და მოვითხვარე ნიკაპი და ლოყები.

ვოკლერმა ჯერ ვერ მიცნო, მერე სიცილი წასქდა და სხვებმაც ბანი მისცეს.

ასე შევედით ქ. სოლიეში. იქაურები მაშხალებით, ბუკით და საყვირით მოგვეგებნენ.

— გაუმარჯოს მარსელელებს! გაუმარჯოს ეროვნებას! ძირს მტარვალნი!...—ისმოდა ყველა მხრიდან.

ზარებს რეკდნენ, მოედანზედ, საყდრის წინ, კოცონი ენთო, დიდის ცდით დავიხსენით ბერი და სამი პოლიციელი, კინაღამ ცეცხლში ამოსწვეს.

ჩვენთვის ღვინო და სურსათი უხვად იყო დამზადებული ვოკლერმა არ მიიღო მონაწილეობა ამ ლხინში, ხელი მომკიდა და მითხრა:

— ფოსტის სადგურზე წავიდეთ, ვნახოთ, ლაზული და ბავშვი მოვიდნენ თუ არა.

რამდენიმე ვიწრო ქუჩა გავიარეთ, გავედით პარიზის გზაზე და დავინახეთ სანათი ფოსტის სადგურის კარებზე.

შევედით ეზოში, ბევრი ეტლები იდგა და ხალხი სანათებით მიდი-მოდიოდა.

— აი, ავინიონის დილიჟანი! — წამოიძახა ვოკლერმა, როცა დაინახა უშველებელი უშნო, ყვითლად შეღებილი დილიჟანი სარკმლებზე წითლის ფარდებით.

შევედით სასტუმროში, მერე სასადილო ოთახში, მაგიდებთან მრავალი ხალხი ისხდა. სანამ შევნიშნავდით ლაზულის, ის კიდეც მოეხვია თავის ქმარს.

— ჩემი ქმარი! ჩემი ვოკლერი! აგერ კუთხეში ჩვენ პატარასა სძინავს სკამზე, წამოდი გავაღვიძოთ, ეს სამი დღეა თვალ ცრემლიანი სულ მამას კითხულობს...

ვოკლერი ისე იყო აღელვებული, რომ ხმა ამოუღებლად გაჰყვა ცოლს. მეც მივდევდი და მიკვირდა, რატომ ლაზული არ მომესალმა.

ბავშვთან რომ მივედით, ლაზულიმ წამოაყენა და ხმა მაღლა ჩასძახოდა:

— კლარე! კლარე! ჩემო მშვენიერო, გაიღვიძე! აი მამა შენი!

მაგრამ ბავშვს ისე ეძინებოდა, რომ თავის დედის მხარზე დასდო თავი და ისევ ჩაიძინა. მაშინ მამამ თითონ აიყვანა და დაუწყო კოცნა. ბავშვი ნელ-ნელა გამოფხიზლდა, იცნო მამა და სიამოვნებით მოეხვია.

მე ჩემს რიგს ველოდი. ბოლოს ვოკლერმა მოახედა ჩემსკენ ბავშვი:

— კლარე, პასკალ ვერ დაინახე, გახსოვს შენ რომ ყურძენი მოგცა?

ბავშვი შიშით მომერიდა, თითქოს ეშმაკი დაინახაო.

— ეს პასკალია!—სთქვა ლაზულიმ,—შემოჰკრა ტაში და დაიწყო ხარხარი,—რა უქმნია, რითი გაუთხუნია ცხვირპირი?..

მაშინ მომაგონდა, რომ მაყვლის წვენით წავითხუპნე ცხვირ-პირი, გაველი სამზარეულოში პირის დასაბანად და ისე ვიხეხე პირი, რომ კინაღამ გადავიტყავე რომ შემოვბრუნდი, ბავშვმა მიცნო, შემომცინა და მაკოცა, აგრეთვე ლაზულიმ.

ვოკლერმა ვახშამი მოიკითხა და სამივენი დავსხედით ვახშმის საჭმელად. მე ყურადღებით ვუსმენდი ლაზულის ლაპარაკს ავინიონის შესახებ.

— შენ ვერც კი წარმოიდგენ, ვინ მოდის ჩვენთან,—სთქვა ლაზულიმ,—ძალიანაც არ მეჭაშნიკება იმისი მეზობლობა და გზაში ხმაც არ გამიცია.

— ვინ არის?

— ბებერი ჟაკრასი, მეხაშე. ხომ იცი, რა ბოროტია და როგორ ემუქრებოდა ხოლმე ყველას დანით ხელში. მე კი არ ვეპუები, მაგრამ მეშინიან, არა შეამთხვიოს-რა იმ ყმაწვილ ქალს, რომელსაც მისდევს პარიზში. საწყალ ქალს სულ აკანკალებს ხოლმე, როცა ის ბაიყუში ბებერი შეხედავს. აქ რაღაც საიდუმლო უნდა იყოს.

— მართალსა ბძანებთ, რაღაც ცოდო ტრიალებს!—სთქვა მედუქნემ, რომელიც ჩვენს ახლო მაგიდაზე ვახშმობდა და, რომ გაიგონა ეს ლაპარაკი, მოვიდა ჩვენთან.—ამ ბებერზე ისეთ საშინელებას ამბობენ, რომ თმა ყალყზედ უდგება ადამიანს. ავინიონშივე ამბობდნენ, რომ რამდენიმე დღის წინად რონის ხიდთან ნახეს თოკით გაშართული მარკიზ რობერტის გვამი. ირწმუნებიან, რომ ჟაკრასმა და ორმა უკეთურმა გამოუვაშვეს ის ყმაწვილი და წყალში გადააგდეს, იმასაც უმატებენ, რომ მარკიზ რობერტი საქმრო იყო იმ ყმაწვილი ქალისა, რომელსაც ეს შეჩვენებული მისდევს. დამიჯერეთ, ეს ბოროტი კუდიანი ბებერი კიდევ რამ საშინელებას მოახდენს. მაგ უმანკო ბავშვს ან მოჰკლავს და ან გაჰყიდის. თითონ ქალიც, ეტყობა, გრძნობს, რომ უბედურება მოელის. მითხრეს კიდეც ავინიონში ქალის სახელი, მაგრამ დამავიწყდა. დრო კი აღარ არის დაგვიანებისა, ნახევარ საათის უკან უნდა წავიდეთ.

ადგა და გავიდა ცხენების მოსავლელათ.

— გაიგე, ლაზული?—უთხრა ვოკლერმა:—ნახევარ საათის შემდეგ ისევ განვშორდებით. ყურადღებით მოისმინე და დაიხსომე, რაც გითხრა. როგორც მიხვიდე პარიჟში, მაშინვე წადი ჩემ ძველ სახლის პატრონ პლანშოსთან, რომელიც ბასტილიიდან ორ ნაბიჯზე, გემენეისის ვიწრო ქუჩაზე სდგას, დილიჟანიც იქვე დადგება, დილიჟნის პატრონი განიშნებს, საით წახვიდე. როცა იპოვნო პლანშო, უთხარი: მე ცოლი ვარ ვოკლერისა, რომელიც თქვენთან იდგა და თქვენს სახელოსნოში მუშაობდა; ის ეხლა მარსელელებთან ერთად მოდის პარიზში რევოლუციის საქმის მოსაწყობად, თქვენთან გამომგზავნა, რომ მოუმზადოთ ის ოთახი, რომელშიაც ის იდგა, როცა თქვენთან იყო თქო. შენ თითონ, ნახე რა ალტაცებით მიგიღებს და მთელ სამზარეულოს დაგითმობს. იქ ძალიან კარგად მოვთავსდები და ამასთან, თუ რამ უბედურება შეგვემთხვა, სჯობია ქრილობას შინ ვუწამლოთ, ვიდრე საავადმყოფოში! ხუმრობა არ არის, არ დაივიწყო ქუჩის სახელი. გაიმეორე: გემენეისის ვიწრო ქუჩა.

— გემენეისის ვიწრო ქუჩა,—გაიმეორა სიცილით ლაზულიმ.

— ერთი მითხარი, ფული გაქვს?

— როგორ არა, მაქვს! სულ ურიან ნატანს მივყიდე ჩემი ნივთები და სპილოს ძვლის ჯვარცმა. აი, ნახე ფული ქამარზე მაქვს ქვეშიდან მიკერებული. ჩვენი მედილიჟნე ძალიან ვაჟკაცობს, მაგრამ მაინც „სიფრთხილეს თავი არა სტკივა."

— შენ საუნჯე ხარ!—უთხრა ვოლკერმა და ის იყო უნდა ეკოცნა! რომ უცბად მოშორდა და შეჰყვირა: ეს რა ამბავია? განგაშის ხმა და ზარების რეკა. უექველად მოხდა რამ. პასკალ, აიღე თოფი. მშვიდობით, ლაზული. აკოცა ბავშვს, თვალცრემლიანმა მეც გამოვეთხოვე დედა-შვილს და გავიქეცით. კარებში ვოკლერმა კიდევ მოაგონა:

— ლაზული! არ დაივიწყო—პლანშო, გემენეისის ვიწრო ქუჩაში.

სასტუმროდან რომ გავედიოდით მომესმა ბებერ ჟაკრას ყვირილი:

— ერთი ჭიქა ღვინო მომართვით.

— მწარეთ არ გაუჟღენთიხარ მაგ ღვინოს, შე დაწყეველილო კუდიანო!—უთხრა მოახლემ და წავიდა.

ჩვენ სირბილით წავედით ჩვენის ბინისკენ. ქუჩაში არავინ იყო, მხოლოდ კარების რახუნი ისმოდა: მშიშრები ჰკეტდნენ თავიანთ კარებს.

საჩქაროდ მივედით საყდრის მოედანზე, სადაც ცეცხლი კიდეც ჰკრებოდა, მაგრამ მხიარული ყვირილი და სიმღერა ისმოდა. ჩვენს თვალწინ იდგა მთელი ბატალიონი, წასასვლელად მომზადებული, ჯარის წინ იდგა ცხენით ვილაც კაცი, სამ კუთხიანი ქუდით თავზე, ოქროს ფერი ღილებიანის მუნდირით. ჩვენც ჩვენი ადგილი დავიჭირეთ, ბუკი დაუკრეს და დავიწყეთ მარსელიეზას სიმღერა, ჩვენ ხმა მოგვცა იქვე თავმოყრილმა აუარებელმა ხალმა...

რამოდენიმე ხანი ეს ცხენოსანი უძრავად იდგა. მერე ხელი დაიქნია და ყველა გაჩუმდა.

— მამაცნო, მარსელელელნო, სთქვა იმან მაღალის და გარკვეულის ხმით:—მე პარიზიდან გამოვექანე თქვენთან და აი შეგატყობინებთ, რა ხდება იქა. რევოლუციის წინააღმდეგნი არისტოკრატნი და სასახლის მოყვასნი ხმას ავრცელებენ, რომ თქვენი ბატალიონი შემდგარია სულ მთლად კატორგელებისაგან, მარსელელ მაწანწალებისა და კორსიკელ ავაზაკებისაგან, რომ თქვენ ჯვარს აცვით მოხუცი მღვდელი და აჰკუწეთ მენტის ეპისკოპოსი. ამისთანას ბევრს ლაპარაკობენ რევოლიუციის მტერნი. მეფე კაპეტს და მის მთავრობას, რომელთაც კავშირი შეჰკრეს უცხოელებთან საფრანგეთის დასაპყრობლად, უნდათ დაგიშალოთ პარიზში შესვლა, რომ უფრო ადვილად გაუღონ პარიზის კარები გერმანელებს და ჰუნგრელებს. ჩვენ რომ არ შეგვეკავებინა მეფე ვარგნში, ეხლა ის გაუძღვებოდა ამ უცხოელებს და შევიდოდა პარიზში. მეფის მოსაშველებლად მოდიოდენ: ჩრდილოეთიდან—ოცდა თხუთმეტი ათასი ჰუნგრელი, ელზასიდან—თხუთმეტი ათასი გერმანელი, დაფინედან—ხუთი ათასი იტალიელი, პირენეის მხრიდან ოცდა ხუთი ათასი ესპანელი, ბურგუნდიის საზღვრიდან—ამდენივე შვეიცარიელი. ამ ჯარის კრებულს მეფის წინამძღოლობით უნდა აღედგინა ძველი წესები. მაშინ მშვიდობით თავისუფლებავ, მშვიდობით ადამიანის უფლებავ! და ახლა არა პატრიოტებს უნდათ, რომ არ შეგიშოთ პარიზში, მაგრამ ის კი ავიწყდებათ, რომ მარსელელებს არც მახვილისა ეშინიანთ, არც ცეცხლისა, რომ თქვენ მიისწრაფით შური იძიოთ წარსულისა და უზრუნველ ჰყოთ მომავალი საფრანგეთის ხალხისა, წინ მარსელელებო, წინ პატრიოტებო, წინ თავისუფლების მოსაპოებლად!

მოაბრუნა ცხენი და დაიყვირა დიდის ხმით:

— მე წინ წავალ და გამოვუცხადებ რევოლუციონერებს და პატრიოტ ბარბარუს, რომ მარსელელი ბატალიონი მწყობრად მოდის პარიზზე. გაუმარჯოს ეროვნებას!

— გაუმარჯოს რებეკას! გაუმარჯოს ბარბარუს! გაუმარჯოს ეროვნებას! ძირს მტარვალნი!—მიუგეს მარსელელებმა. დეზები შემოჰკრა ცხენს და გაჰქრა სიბნელეში პარიზის გზაზედ.

მაშინ მუასსონმა ამოიღო ხმალი და გვითხრა:

— ყმაწვილებო! მარსელელი ბატალიონი ეხლავ გაუდგება გზას და არც ერთს წამს არ შეგდგება, სანამ იმას არ გავამწკრივებ მეფე კაპეტის სასახლის წინ.

ჯარმა პასუხი მიუგო სიმღერით:

წინ გასწით მამულის შვილნო!..

წავედით აღფრთოვანებულნი. ხალხმაც გაანთავისუფლა ბერები და პოლიციელები და მხიარულად დაუყვირა:

— დაგვეკარგენით აქედან, თქვე ქალაჩუნებო! ჩვენ ხელებს არ გავისვრით თქვენ მყრალ სისხლში,

გზაში სულ ვფიქრობდი: ვინ იყო ის მხედარი, რომელიც ისე მშვენიერად ლაპარაკობდა? რებეკკის ეძახდნენ ყველანი, პარიზიდან იყო მოსული, ნუ თუ იქაც იმ ანაზე ლაპარაკობენ, რომელზედაც ავინიონში. ან ვინ იყო ის ბარბარუ, რომელზედაც ყველანი ამბობენ, იმას შეუძლიან იხსნას რევოლუციაო.

ამ ფიქრში გულმოდგინეთ მივათრევდი ზარბაზანს. არასდროს ასე თანახმათ და მწყობრად არ გვივლია, დაღლილობას არც-კი ვიმჩნევდით. მარსელიეზას ვმღეროდით და დრო და დრო ვიძახდით:

— ჩვენ პარიზში არ გვიშვებენ, მაგრამ შევალთ! ჩვენი ეშინიანთ და კიდეც დავამტკიცებთ, რომ საშიშრები ვართ.

ედუარ ანტონოვსკისა.

(შემდეგი იქნება)





ჩხრეკა ტფილისის ქუჩებში.

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. ს. რცხილაძე.**